ღია საზოგადოების ფონდი
www.osgf.ge

# კოვიდ-19
# პანდემიის გავლენის შემსუბუქება




## ყველაზე დაუცველთათვის

მარტი-ოქტომბერი 2020

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა
- სოციალურ-ეკონომიკური დახმარება
- ეკონომიკური გაძლიერება
- მშრომელთა უფლებები
- ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენცია შეზღუდვების დროს
- ჯანდაცვის სპეციალისტებისა და ინსტიტუციების მხარდაჭერა
- ვირუსის გავრცელების პრევენცია
- ონლაინ სწავლების ხელშეწყობა და წვდომა ინტერნეტზე
- ოჯახური ძალადობა

COVID-19

## კოვიდ-19 დაფინანსება

# 1,497,665 აშშ დოლარი

### დაფინანსება პროგრამების მიხედვით

| | |
|---|---|
| 679,130 | საზოგადოებრივი ჯანდაცვა |
| 209,900 | მედიის მხარდაჭერა |
| 72,230 | ევროინტეგრაცია |
| 28,500 | ეროვნული ინტეგრაცია |
| 341,395 | მონაწილეობითი დემოკრატია |
| 166,510 | ადამიანის უფლებები |

### ბენეფიციარები თბილისში და რეგიონებში

- არაფორმალური მშრომელები
- მარტოხელა ხანდაზმულები
- მარტოხელა დედები
- მრავალშვილიანი ოჯახები
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლები
- პალიატიური მზრუნველობის ქვეშ მყოფი პაციენტები
- სკოლის მოსწავლეები
- უმცირესობები
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები
- ჟურნალისტები
- ჯანდაცვის სპეციალისტები
- ყოფილი პატიმარი ქალები

*შენიშვნა: პროექტების ნაწილის განხორციელება დაიწყება 2020 წლის დეკემბრიდან*




# ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

- უსინათლო და აუტისტური სპექტრის მქონე მოქალაქეებისთვის სპეციალურად ადაპტირებული, ინფექციისგან დაცვის ინსტრუქციების შემცველი საინფორმაციო ვიდეოების მომზადება და გავრცელება

- ინფექციისგან დაცვის, პანდემიის დროს ქცევის წესებისა და სახელმწიფო დახმარების პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და მათი გავრცელება ეთნიკურ უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში; ბოშათა თემის ინფორმირება მუნიციპალური სერვისების შესახებ, კოვიდ-19 საინფორმაციო ცხელი ხაზისა და ბოშათა სათემო საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერა

- 17 რეგიონული ტელევიზიისა და ადგილობრივი რადიოების მხარდაჭერა მოქალაქეებისთვის სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდების მიზნით

- ადგილობრივი სათემო რადიოების „ნორის“, „მარნეულისა“ და „ბოლნელის“ მხარდაჭერა ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებისთვის

*მხარდაჭერილია შემდეგი პროგრამებიდან:*
*მედიაპროგრამა, ეროვნული ინტეგრაცია, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა.*



# ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა

24 საათიანი კონსულტაცია დაუნის სინდრომის მქონე მშობლებისთვის იზოლაციის პირობებში ბავშვთა ქცევის მართვასთან დაკავშირებით
2500-ზე მეტი კონსულტაცია კონსულტაცია

ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და დისტანციური კონსულტაცია პალიატიური მზურნველობის ქვეშ მყოფი პაციენტების შინ მოვლის შესახებ
100-ზე მეტი პაციენტი

კრიზისული ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი და დისტანციური კონსულტაციები კარანტინისა და იზოლაციის დროს
3000-მდე დისტანციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია,
1700-მდე კრიზისული სატელეფონო კონსულტაცია

ფსიქო-სოციალური საგანმანათლებლო პლატფორმა სტრესის ქვეშ მყოფი მოქალაქეების და ფსიქიკური სირთულეების მქონე მოქალაქეების დასახმარებლად

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების ინფორმირება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა

მხარდაჭერილია პროგრამიდან:
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა




# სოციალურ-ეკონომიკური დახმარება

სურსათი, მედიკამენტები, ჰიგიენური საშუალებები და ვაუჩერები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2500-ზე მეტი | 300 | 185 | 177 | 134 | 35 |
| მარტოხელა მოქალაქე და ღარიბი ოჯახი რეგიონებში | არაფორმალურად დასაქმებული ქალი | მარტოხელა უსინათლო | ეთნიკური უმცირესობების 50 ოჯახის წარმომადგენელი | უსახლკარო ოჯახი | ტრანსგენდერი სექსმუშაკი ქალი |

მოხალისეთა პლატფორმის „ერთიანობის“ ინსტიტუციური მხარდაჭერა, რომელმაც იზოლაციის დროს დედაქალაქში და რეგიონებში **7000-მდე** მარტოხელა ხანდაზმული, მარტოხელა დედა, შეზღუდული შესაძლელობების მქონე პირი და სოციალურად დაუცველი მოქალაქე უზრუნველყო ჰუმანიტარული დახმარებით

მოხალისე **2000** → ბენეფიციარი **7000-მდე**

კოვიდ-19 დამცავი აღჭურვილობა ბავშვთა და ზრდასრულთა ჰოსპისებისთვის

ხონის ხანდაზმულთა სახლის მხარდაჭერა
**140 ბენეფიციარი**

სამთავრობო დახმარების პროგრამაში სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებისთვის ქართულენოვანი რეგისტრაციის გავლის უზრუნველსაყოფად ახალგაზრდა აზერბაიჯანელი აქტივისტების მხარდაჭერა
**400-ზე მეტი ბენეფიციარი**

უფასო იურიდიული დახმარება სესხებთან დაკავშირებულ საკითხებზე მიკროსაფინანსოების წინაშე დავალიანების მქონე და შემოსავლის გარეშე დარჩენილი მოქალაქეებისთვის
**750-ზე მეტი კონსულტაცია**

მედიასაშუალებების უზრუნველყოფა ინფექციისგან დაცვის საშუალებებით - ნიღბებით, უკონტაქტო თერმომეტრებითა და დამცავი ფარებით.

*მხარდაჭერილია პროგრამებიდან:*
*საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ევროინტეგრაცია, ადამიანის უფლებები, ეროვნული ინტეგრაცია, მონაწილეობითი დემოკრატია*




## ეკონომიკური გაძლიერება

შინ მოვლის სერტიფიცირებული ტრენინგ კურსი პანდემიის პერიოდში საზღვარგარეთ უმუშევრად დარჩენილი და საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალებისთვის
**60 ქალი**

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობა სპეციალური მთარგმნელობითი პროგრამის მეშვეობით

ქალთა მცირე ბიზნესის ინიციატივების მხარდაჭერა სოფლებში
**15 გრანტი**

რეაბილიტაციური მომსახურების შეთავაზება ყოფილი პატიმარი და პრობაციონერი ქალებისთვის, რაც ითვალისწინებს საცხოვრისით უზრუნველყოფას, ღირსეული ცხოვრების პირობებს და პროფესიულ განათლებას შემდგომი განვითარებისთვის

*მხარდაჭერილია პროგრამებიდან:*
*საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ადამიანის უფლებები, მონაწილეობითი დემოკრატია*




## მშრომელთა უფლებები

უფასო სამართლებრივი კონსულტაცია შრომის უფლებადარღვეული მოქალაქეებისთვის
1500-ზე მეტი კონსულტაცია

პანდემიის პერიოდში დარღვეულ შრომის უფლებებთან დაკავშირებული სასამართლო სამართალწარმოება
10 საქმე

საქართველოს მთავრობისთვის მომზადებული რეკომენდაციების პაკეტი კრიზისულ პერიოდში სოციალური დახმარების სამართლიანად განაწილებისა და მშრომელთა სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ

სასურსათო ვაუჩერი არაფორმალურ შრომაში ჩართული და პანდემიის დროს სამუშაოს გარეშე დარჩენილი 300 ქალისთვის

დასაქმებულებზე და მათ უფლებებზე პანდემიის გავლენის შეფასება და საინფორმაციო კამპანია მშრომელთა უფლებებზე პანდემიის გავლენის შესახებ

*მხარდაჭერილია პროგრამიდან:*
*მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამა*




# მშრომელთა უფლებები

- პანდემიის დროს შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დაცვის შესახებ სპეციალური ანგარიში, რომელიც სწავლობს შრომითი უფლებების დარღვევებს, აანალიზებს საქართველოს შრომისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემას და იძლევა რეკომენდაციებს შემდგომი რეფორმისთვის.
- შრომის ინსპექციის ეფექტურობის მონიტორინგი და შრომის უსაფრთხოების ინსპექტირების ხელშეწყობა პანდემიის პერიოდში (პროექტის დაწყება: 2020 წლის დეკემბრიდან)
- ადვოკატირების კამპანია ექთნებისთვის მინიმალური ანაზღაურების დაწესების შესახებ (პროექტის დაწყება: 2020 წლის დეკემბრიდან)
- რეფორმის კონცეფცია არაფორმალურად დასაქმებულთა სოციალური დაცვის შესახებ (გამოქვეყნება: 2021)
- სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობების კვლევა (გამოქვეყნება: 2021)

*მხარდაჭერილია პროგრამიდან:*
*მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამა*




# ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენცია საგანგებო მდგომარეობის დროს

- უფასო სამართლებრივი კონსულტაცია და სტრატეგიული სამართალწარმოება საგანგებო მდგომარეობისა და ეკონომიკური შეზღუდვების პერიოდში უფლებადარღვეული მოქალაქეებისთვის
  400-ზე მეტი კონსულტაცია

- საგანგებო მდგომარეობის პირობებში გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზების ანალიზი და კონსტიტუციასთან შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების კონცეფციის შემუშავება

- კოვიდ-19 გატარებული ღონისძიებების, პოლიტიკის და პრაქტიკის გავლენის შეფასება საქართველოს დემოკრატიაზე

- ონლაინ პლატფორმების გამართვა თემატური კვლევებისა და განათლების პ?როცესის ხელშესაწყობად ნარკოპოლიტიკის რეფორმირებისთვის

*მხარდაჭერილია პროგრამებიდან:*
*ადამიანის უფლებების პროგრამა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა*



© Ami Vitale

# ჯანდაცვის სპეციალისტებისა და ინსტიტუციების მხარდაჭერა

გზამკვლევები კოვიდ-19 პრევენციისა და მართვისთვის პალიატიური მზრუნველობის დაწესებულებებში

ტრენინგები და გზამკვლევები სამედიცინო პერსონალისთვის ინფექციის გავრცელების პრევენციისა და კონტროლის შესახებ; ტრენინგები კრიტიკული მედიცინის სპეციალისტებისთვის რესპირატორული სისტემის გართულების მქონე პაციენტების მდგომარეობის მართვის შესახებ
822 გადამზადებული ჯანდაცვის სპეციალისტი 60 საავადმყოფოდან

ინფექციასთან გამკლავების მზაობის გეგმა ფსიქიკური შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე პირთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში

მზაობის გეგმა და ტრენინგები ინფექციასთან გასამკლავებლად ქრონიკული დაავადებებისა და შეზღუდვის მქონე პირთა ხანგრძლივი მოვლის რეზიდენტული დაწესებულებებისთვის
6 რეზიდენტული დაწესებულება

სამოქმედო გეგმის შემუშავება სტაციონარს გარეთ მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პაციენტების მდგომარეობის მართვისთვის

*მხარდაჭერილია პროგრამიდან:*
*საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა*




## ვირუსის გავრცელების პრევენცია

დაავადებათა კონტროლის ცენტრის მხარდაჭერა სეროლოგიური კვლევის ჩასატარებლად საქართველოში კოვიდ-19 ინფიცირებულ პაციენტების იმუნური რეზისტენტობის შესწავლის მიზნით. კვლევა მოიცავს 250 ზრდასრულ პაციენტს (100 ახლად დიაგნოსტირებული, 150 გამოჯანმრთელებული)

ახლად რეკრუტირებული ჯანდაცვის მუშაკების ტრენინგი კონტაქტების მიდევნებისა და ეპიდემიოლოგიური კვლევის წარმოების საკითხებში
150 მუშაკები

მარტოხელა შშმ პირების, ხანდაზმულების და შშმ პირთა მომვლელი ქალების უზრუნველყოფა წყალმომარაგების თანამედროვე და უნივერსალური სისტემით სამეგრელოში
145 ბენეფიციარი

პანკისში მცხოვრების ქალების მხარდაჭერა დამცავი ნიღბების წარმოებისა და უფასოდ გავრცელებისთვის ადგილობრივ თემსა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში

საგანგებო მზადყოფნისა და ინფექციის კონსტროლის სამოქმედო გეგმების შემუშავება ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის

მედიასაშუალებების უზრუნველყოფა ინფექციისგან დაცვის საშუალებებით – ნიღბებით, უკონტაქტო თერმომეტრებითა და დამცავი ფარებით.

*მხარდაჭერილია პროგრამებიდან:*
*საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ეროვნული ინტეგრაციის პროგრამა, მედიაპროგრამა*



# ონლაინ სწავლების ხელშეწყობა და წვდომა ინტერნეტზე

- ლეპტოპები, პლანშეტები და უფასო ინტერნეტი სკოლის მოსწავლეებისთვის კახეთში
  **150-მდე მოსწავლე**
- სამცხე-ჯავახეთის მაღალმთიანი სოფლის **50 ოჯახის** უზრუნველყოფა ინტერნეტით
- პერსონალური მენტორობის პროგრამა კახეთის **20 სოფელში** მცხოვრები მოსწავლეებისთვის ონლაინ სასწავლო პროცესში დასახმარებლად
- ონლაინ განათლების პროცესის გაუმჯობესება და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ონლაინ განათლების კურსის შემუშავებითა და უფასო ინტერნეტ კაფეს ხელშეწყობით კახეთში
- სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების სოციალური ინკლუზია და ონლაინ განათლების მოდელის შემუშავება
- სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების ხელმისაწვდომობა განათლებაზე- პანდემიის გავლენის ანალიზი

*მხარდაჭერილია პროგრამებიდან:*
*მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამა, ადამიანის უფლებების პროგრამა, ევროინტეგრაციის პროგრამა*




# ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ

სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის კარანტინისა და იზოლაციის დროს

ძალადობისგან დამცავი მობილური აპლიკაცია Safe You. SOS ღილაკზე დაჭერით მსხვერპლს შეუძლია განგაშის სიგნალი  გაგზავნოს და დასახმარებლად მოიხმოს წინასწარ განსაზღვრული ადამიანები და ორგანიზაციების წარმომადგენლები

*ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲓᲐᲜ:*
*ᲔᲕᲠᲝᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ*

# პარტნიორები



ადამიანის უფლებათა ცენტრი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

ალიანსი უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის

ანესთეზიოლოგთა და რეანიმატოლოგთა ასოციაცია

ახალი აზროვნების ინსტიტუტი

აჭარის დემოკრატიის განვითარების ცენტრი

ბავშვთა ჰოსპისი „ციცინათელების ქვეყანა„

„ბოლნელი„-სამაუწყებლო კომპანია

გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში

გორის სათემო რადიო „მოზაიკა„

დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ჯგუფი

დედოფლისწყაროს ქალები

ერთიანობა

თანასწორობის მოძრაობა

კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი

კოალიცია „მოძრაობა ცვლილებებისათვის„

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი

მშვიდობისა და დემოკრატიის აკადემია

მხარდაჭერა განსაკუთრებული საჭიროებებისთვის

ნინოწმინდას სათემო რადიო „ნორი„

ნდობა-ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია

ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი

ჟურნალისტთა კავშირი „ხალხის ხმა„

ღია საზოგადოების ფონდი

COVID-19

# პარტნიორები



პლატფორმა „სალამი„

ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული სასნეულო სახლი

ფონდი „ჩართე„

ფონდი „ტასო„

სამართლიანი არჩევნები

სამოქალაქო ინიციატივასაფარი

საუნჯე

საოჯახო კრიზისული ინტერვენციის სამსახური

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

სოლიდარობის ქსელი

საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია

საქართველოს უსინათლოთა ასოციაცია

საქართველოს კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის საზოგადოება

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია TV4

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი

ხელი ხელს

შავი და ბალტიის ზღვის ალიანსი

ჯანმრთელობის კვლევის კავშირი

სოფიკო შუბითიძის საინიციატივო ჯგუფი

მარიკა არევაძის საინიციატივო ჯგუფი „დააპაუზე უფასოდ„

COVID-19

ღია საზოგადოების ფონდი